

THE LAWS OF ESHNUNNA

ემშუნას კანონები

CHAREKISHVILI NINO

Professor, Georgian Institute of Public Affairs (GIPA)

Gorgasali street #101, Tbilisi, Georgia

ORCID: 0000-0002-9568-2926

n.charekishvili@gipa.ge

Abstract: The article contains the Georgian translation and comments of so-called "Laws of Eshnuna". Unlike other monuments of Mesopotamian law, this text took its name from the city where it was composed, this was the city of Eshnunna (lit. Tell Asmar), which was located north of Ur, on the banks of the Tigris tributary River - Diyala, and became politically important after the fall of the Third Dynasty of Ur.

The Eshnuna law code was compiled in the Akkadian language. The laws include provisions dealing with a variety of situations, including tenant liability, agricultural matters, theft, liens, deposits and loans, debt, family rights, property and sexual offenses, foster care, and care of dependent class children. Bodily injuries, runaway servants, bulls, vicious dogs, collapse of walls, etc. In some laws, the price of various goods is fixed in silver or grain.

Various types of crimes can be found in Eshnuna laws: theft and related crimes, sexual crimes, bodily harm, bull injury, etc. Most of these crimes were punishable by monetary fines (amounts of silver), but some serious crimes, such as theft, murder, and sexual offenses, were punishable by death.

Keywords: Assyriology, Mesopotamia, Akkadian language, Eshnunna, Laws.

ნინო ჩარეკიშვილი

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA) პროფესორი,

დოქტორი, მის.: გორგასალის ქუჩა #101, თბილისი, საქართველო

ORCID: 0000-0002-9568-2926

n.charekishvili@gipa.ge

აბსტრაქტი: სტატიაში მოცემულია ე.წ. „ემშუნას კანონების“ ქართული თარგმანი და კომენტარები. მესოპოტამიური სამართლის სხვა ძეგლებსგან განსხვავებით, ამ ტექსტმა მიიღო სახელი იმ ქალაქის მიხედვით, სადაც იგი შეიქმნა, ეს იყო ქალაქი ემშუნა (თან. თელ ასმარი), რომელიც მდებარეობდა ურის ჩრდილოეთით, ტიგროსის შენაკად მდინარე დიალას ნაპირზე და პოლიტიკურად მნიშვნელოვანი გახდა ურის მესამე დინასტიის დაცემის შემდეგ.

ემუნას სამართლის კოდექსი შედგენილია აქადურ ენაზე. კანონები მოიცავს დებულებებს, რომლებიც ეხება სხვადასხვა სიტუაციებს, მათ შორის მოიჯარეების პასუხისმგებლობას, სასოფლო-სამეურნეო საკითხებს, ქურდობას, გირავნობას, დეპოზიტებსა და სესხებს, ვალს, ოჯახურ უფლებებს, ქონებრივ და სექსუალურ სამართალდარღვევებს, მინდობით აღზრდას და ზრუნვას დამოკიდებული კლასის შვილებზე. სხეულის დაზიანებებს, გაქცეულ მსახურებს, ხარებს, ავ ძალღებს, კედლების ჩამონგრევას და სხვ. ზოგიერთ კანონში სხვადასხვა საქონლის ფასი განსაზღვრულია ვერცხლით ან მარცვლეულით.

ემუნას კანონებში გვხვდება სხვადასხვა სახის დანაშაულები: ქურდობა და მასთან დაკავშირებული დანაშაულები, სექსუალური დანაშაულები, სხეულის დაზიანებები, ხარით გამოწვეული დაზიანება და ა.შ. ამ დანაშაულთა უმრავლესობა ისჯებოდა ფულადი ჯარიმებით (ვერცხლის ოდენობით), მაგრამ ზოგიერთი სერიოზული დანაშაული, როგორცაა ქურდობა, მკვლელობა და სექსუალური დანაშაული, ისჯებოდა სიკვდილით.

სამიეზო სიტყვები: ასირიოლოგია, მესოპოტამია, აქადური ენა, ემუნა, კანონები.

შესავალი: 1945 და 1947 წლებში თელ აბუ ჰარმალში (ბაღდადი, ერაყი) აღმოაჩინეს ე.წ. „ემუნას კანონები“, რომელიც ჩაწერილია ორ ლურსმულ - A და B - ფირფიტაზე. 1980-იანი წლების დასაწყისში, თელ ჰადადში, ჰამრინის აუზში ჩატარებული სამაშველო ოპერაციების დროს მესამე C ფირფიტაც აღმოაჩინეს. A და B ფირფიტები უნდა იყოს უფრო ადრეული ორიგინალის ორი ასლი. ორივე ფირფიტა შესაძლოა იყოს იმ პერიოდის სკოლის მოსწავლეების გადაწერილი. სავარაუდოდ მოსწავლეებმა კარგად ვერ შეასრულეს დავალება და უძველესი კანონების დედნიდან/ნიმუშიდან ტექსტები მთელი სიზუსტით ვერ გადაწერეს.¹ კანონების ეს კრებული არ არის რეალური სისტემური კოდექსი, შემორჩენილია მისი 60-მდე მონაკვეთი. პირველად ის 1948 წელს ისინი იელის უნივერსიტეტის პროფესორმა ალბრეხტ გოტცემ თარგმნა და გამოსცა. რომელსაც მოჰყვა შემდეგ წლებში სხვა თარგმანებიც.

ძირითადი კლასი, რომელსაც ეხება კანონები, მეთემე - თავისუფალი ადამიანია (*awīlu*), რომელიც მოიცავს ორივე სქესს - როგორც კაცებს, ასევე ქალებს (*mār awīli*, *mārat awīli*): ასევე მითითებულია ცოლი (*aššatu*) და შვილი (*maru*). კანონები ასევე ეხება მეორეხარისხოვან კლასს - გლეხებს (*muškēnu*), თავისუფალ მეთემეთა და სასახლის მსახურებს (*wardu* - მსახური/ყმა და *amtu* - მხევალი). მოხსენიებულია ასევე ადამიანთა სამი კატეგორიაც, რომელთა ზუსტი სტატუსი გაურკვეველია, მაგრამ ისინი იკავებენ ადგილს ჩვეულებრივი სოციალური წესრიგის მიღმა: *ubāru* (უცნობი, უცხო), *naptaru* (ნაცნობი, ახლობელი, მეგობარი, სტუმარი) და *mudū* (მცოდნე, სწავლული). განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ვაჭარს ან კრედიტორს (*tamkāru*) და დიასახლისი/მეპატრონე (*sābitu*).

¹ Липин, 1954.

ტექტის თარგმანი

ტექტის შესავალი

(A i 1-7).

[...] ოცდამეერთე დღეს [...] ღვთაებების ენლილისა და ნინაზუს², [...]³. ქალაქ ეშუნას⁴ მეფობა [და შევიდა] მამის სახლში, ქალაქები ცუფურ-შამაში⁵ და [...] მდინარე ტიგროსის გადაღმა. [...] ერთი წლის მანძილზე ძლიერი იარაღით დაიპყრო.

კანონები

1. (A i 8-17).

1 გურ⁶ მარცვალი (ღირს) 1 შიკლ⁷ ვერცხლი. 3 კ⁸ საუკეთესო ზეთი – 1 შიკლი ვერცხლი. 1 სუთ⁹ და 2 სილა¹⁰ (მცენარეული) ზეთი¹¹ – 1 შიკლი ვერცხლი. 1 სუთ და 5

² ⁴Ninazu – ნინაზუ იყო შუმერული წარმოშობის ქვესკნელის ღვთაება. ის ასევე ასოცირდებოდა გველებთან და მცენარეულობასთან და დროთა განმავლობაში შეიძინა მეომარი ღვთაების ხასიათი. ის ხშირად ასოცირდებოდა ერეშტიგალთან, როგორც ვაჟი, ქმარი, ან უბრალოდ როგორც ღვთაება, რომელიც მიეკუთვნებოდა იმავე კატეგორიის ქვესკნელის ღვთაებებს. მისი თავდაპირველი საკულტო ცენტრები იყო ქ. ენეგი და ქ. ეშუნა, თუმცა მოგვიანებით ქალაქში იგი თანდათან შეცვალა ღვთაებამ თიშფაქმა. მისი კულტი ძველი ბაბილონის პერიოდის შემდეგ დაეცა.

³ ამ ადგილას სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო იმ მმართველის სახელი, ვისაც უნდა შეექმნა კანონები. ამასთან დაკავშირებით მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგიერთ წყაროში ეშუნას კანონები მოხსენიებულია, როგორც ბილალამას კანონები, იმის გამო, რომ სავარაუდოდ ეშუნას მმართველი ამ კანონების შემქნელიც იყო, მაგრამ გოტცე (Gotze, 1951-1952) ამტკიცებდა, რომ ფირფიტა B შეიქმნა დადუშას მეფობის დროს, როთი (Roth, 1997) იზიარებს გოტცეს მოსაზრებას და დაზიანებულ ადგილს, სადაც სავარაუდოდ მმართველის და კანონმდებლის სახელი უნდა ყოფილიყო აღადგენს შემდეგნაირად: ... [როდესაც დადუშას გადაეცა].

⁴ ეშუნა (თანამედროვე თელ ასმარი, დიალას პროვინციაში, ერაყი) იყო უძველესი შუმერული (და მოგვიანებით აქადური) ქალაქი და ქალაქი-სახელმწიფო ცენტრალურ მესოპოტამიაში. მიუხედავად იმისა, რომ მდებარეობდა დიალას ხეობაში, შუმერის ჩრდილო-დასავლეთით, ქალაქი მაინც ეკუთვნოდა შუმერულ კულტურულ გარემოს. ქალაქის მფარველი ღვთაება იყო ჯერ ნინაზუ (Ninazu), შემდეგ კი თიშფაქი (Tishpak), თუმცა ეშუნაში სხვა ღვთაებებსაც სცემდნენ თაყვანს, მათ შორის სინს, ადადს და ინანას. მმართველთა პირადი ქალღმერთი იყო ბელეთ-შუნირი და ბელეთ-თერაბანი (Belet-Šuhinir და Belet-Terraban – მესოპოტამიური ქალღმერთების წყვილი).

⁵ *Šu-up-ur-⁴UTU^{kl}*

⁶ kùr, kurru(m) (=GUR) – „გური“ საზომი ერთეული, საწყაო, დაახლ.: = 250 ლ. gur – ბიბლიური kor = 300 sila (ka) ძველ აქადურ და ახალშუმერულ პერიოდებში; = 144 sila ძველ შუმერულ გირსუ/ლაგაშში; gur "kor" (a capacity measure = 30 bán = 300 sila = ca. 250 liters in Ur III and OB). Foxvog, 2010:21; sila, sil, šál = 0,842 liter. აქ: 1 გური = 300 სილა.

⁷ šiqu, šiqil (= GÍN) - შიკლი (ვერცხლის), რომელიც გამოიყენება ფულად. 1 შიკლი = დაახლ. 8, 333გრ.

⁸ qu(m) (= sila) – „ლიტრი“. (ein Maßgefäß, ca. 1 Liter); Stat. abs. qa (ein Hohlmaß, etwa 1 Liter) Tischler, 2018:325; საზომი ერთეული = 1 ლიტრს. ღამბაშიძე 2017:80. ანუ 1 qa = 1 sila = 60 შიკლს.

⁹ sūtum (= BÁN) – 1 სუთ = 1/30 გური = 10 სილა = 10 ლ. („სათ“ სუთის მრ.რ.); sūtum = BÁN = 10 SILA3 = 10 ლ.; საწყაო ერთეული, დაახლ. 8,4 ლ. ტატიშვილი, 2013:27. sūtu (BÁN). ღამბაშიძე, 2017:86. ჭურჭელი; სიმძლავრის ან მოცულობის საზომი = 10 ლიტრი (sila) ურის III დინასტიის პერიოდში; = 6 ლიტრი სარგონამდე გირსუში. აქ 3 sūt = 30 sila.

სილა გადამდნარი ღორის ქონი – 1 შიკლი ვერცხლი. 4 სუთ ბიტუმი¹² – 1 შიკლი ვერცხლი. 6 მინა¹³ მატყლი – 1 შიკლი ვერცხლი. 2 გური მარილი – 1 შიკლი ვერცხლი. 1 გური კალა¹⁴ – 1 შიკლი ვერცხლი. 3 მინა სპილენძი – 1 შიკლი ვერცხლი. 2 მინა დამუშავებული სპილენძი – 1 შიკლი ვერცხლი.

2. (A i 18-20).

1 ქს (მცენარეული) ზეთი, გადახდა მარცვლით¹⁵ – 3 სუთ მარცვალია.¹⁶ 1 ქს გადამდნარი ღორის ქონი, გადახდა მარცვლით – 2 სუთ და 5 სილა მარცვალია. 1 ქს ბიტუმი, გადახდა მარცვლით – 8 ქს მარცვალია.

3. (A i 21-23).

საზიდარის¹⁷ დაქირავება ხარებითა და მეხრით¹⁸ – 1 ფან¹⁹ და 4 სუთ მარცვალია. თუკი ვერცხლია – მისი დაქირავება 1/3 შიკლია. ის მთელი დღის განმავლობაში ატარებს მას.²⁰

4. (A i 23-24).

ნავის²¹ დაქირავება – 1 გურ ტევადობაზე 2 ქს (მარცვალია). და [...] ქს (მარცვალია) მენავის²² დაქირავება. ის მთელი დღის განმავლობაში ატარებს მას.

5. (A i 25-26).

თუკი მენავე დაუდევარია და ნავს ჩაძირავს²³, ის აღადგენს იმდენს, რამდენიც ჩაძირა.

6. (A i 27-28).

¹⁰ sila, sil, šál – measure of capacity, liter = 0.842 modern liters in the Neo-Sumerian period; measuring pot (si14, 'a small pot', + lá, 'to weigh'; but cp. also, sal, 'uterus') [SILA3 archaic frequency: 57; concatenates 3 sign variants]. Halloran, 1999:32; sila (a capacity measure = 0.842 liter or ca. 9/10 quart). Foxvog, 2010:48- 1 სილა = 0.84 ლ.

¹¹ šamnu (=Ī.GIŠ) – ზეთი; იგულისხმება მცენარეული ზეთი, რომელიც დამზადებული უნდა ყოფილიყო სეზამის (იგივე ქუნჯუთის), ზეთისხილის ან სელისგან.

¹² ფისოვან ნივთიერებათა (ასფალტის, გუდრონის, ნავთობის და მისთ.) საერთო სახელწოდება.

¹³ mana – „მინა“ წონის საზომი ერთეული. mina = ca. 500 გრამი = 60 gín (აქადის პერიოდიდან მოყოლებული, 2 ma-na = 1 sila წყალი). Halloran, 1999:117; weight measure = 60 gín = 0.48 kg. Foxvog, 2010:36; მესოპოტამიაში gin - შიკლი; 1 მინა = 60 შიკლ ვერცხლს, 1 შიკლი ვერცხლი = 8,3 გრ.

¹⁴ NAGGA (= AN.NA) - კალა; შავი/მუქი ლითონი. ტატიშვილი, 2013:89.

¹⁵ nišhatu(m) – (იმპორტირებული საქონლის გადასახადი), „ექსტრაქტი“ (მარცვლეულის გადასახადი).

¹⁶ še'u (= ŠE) – 1. მარცვალი, ხორბალი, ქერი; 2. „მარცვალი“ საზომი (წონის) ერთეული, რომელიც = 0,047 გრ. (0,05 გრ.); „მარცვალი“ - საწყაო ერთეული = 1,66 დმ³ = 0,005 ლ.; ფართობის ერთეული = ŠE = uttatum = „მარცვალი“ = 33სმ²

¹⁷ erequ(m) (= G¹⁵MAR.GÍD.DA) – (სატვირთო) ეტლი, საზიდარი; დიდი ეტლი. (= ასტრ. დიდი დათვის თანავარსკვლავედი). ტატიშვილი 2017:84.

¹⁸ redû, rādiu(m) – ცხოველების მწყემსი, გამრეკი, მეხრე; მეურმე.

¹⁹ panu(m) II (a basket; a measure of capacity) [GI.GUR] 1. (a (large) basket) OA for tablets, copper etc., OB for grain, MB for tablets [GI.GUR.IM.MA ?] 2. Bab. "bushel" (a dry capacity measure) [PI] OB = 60 qû, NB = 36 qû =] 1/5 kurru 3. NB (an area measure) = 10,80 0 sq. cubits (Babylon), 10,00 0 (Uruk). Black and other., 2000:263. 1 pan = 6 sat = 60 sila; GUR = kurrum = 30 BÂN = 300 ლ.

²⁰ ანუ მას შეუძლია მთელი დღის განმავლობაში გამოიყენოს.

²¹ gîšmá (eleppu) – გემი, ნავი.

²² malaḫu (= MA.LAḫ) – მენავე.

²³ ṭebû – ჩაძირვა.

თუკი კაცმა თაღლითობით ჩაიგდო ხელში ნავი, (რომელიც) მას არ ეკუთვნის, მან 10 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს (დაზარალებულს).

7. (A i 28-29).

მომკლის²⁴ დაქირავება 2 სუთ მარცვალა; თუკი ვერცხლია – მისი დაქირავება 12 მარცვალა²⁵.

8. (A i 29).

(მარცვლეულის) გამწვავების²⁶ დაქირავება 1 სუთ მარცვალა.

9. (A i 30-33).

მეთემემ მოსავლის აღებისთვის დაქირავებულს²⁷ 1 შიკლი ვერცხლი უნდა მისცეს; თუკი ის (დაქირავებული) არ დარჩება სამუშაოდ და არ მიუტანს მოსავალს²⁸ (დამქირავებელს), (მაშინ) უნდა მიუწონოს 10 შიკლი ვერცხლი.

9A. (A i 33-34).

ნამგლის ქირაობა 5 ჯა (მარცვალა) და (დამქირავებელი) ვალდებულია²⁹ დაუბრუნოს (ის) თავის პატრონს.

10. (A i 34-35).

ვირის დაქირავება 1 სუთ მარცვალა და მისი მეხრის 1 სუთ მარცვალი; ის მთელი დღე ატარებს მას.

11. (A i 36-37).

დაქირავებულის დაქირავება 1 შიკლი ვერცხლია, 1 ფან მარცვალა მისი საზრდო; ის ერთ თვეს იმუშავებს.

12. (A i 37-40).

(თუკი) კაცს³⁰ დამოკიდებულის³¹ მინდორში ძნებს³² შორის შუადღეს დაიჭერენ – 10 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს; ძნებს შორის ღამით დაჭერილი – უნდა მოკვდეს, არ უნდა იცოცხლოს.

²⁴ ešidu(m) – მომკელი.

²⁵ ŠE = uttatum = „მარცვალი“ = 33სმ²

²⁶ zārû(m) – გამწვავებელი (თესლის, მარცვლეულის). ჰაერზე, ქარზე ზედმეტი, არასაჭირო ნაწილებისგან ათავისუფლებდნენ, ანიავედნენ მარცვლეულს.

²⁷ agru(m) – დაქირავებული, დაქირავებული კაცი. მრ.რ. OB agrû, NA, NB agrûtu, NB also agarrûtu "hireling; hired man" [LÚ.ĦUN.GÁ).

²⁸ ანუ დამქირავებელი არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას. ri-su lâ û-ki-il სიტყვ.: „თავი არ ეჭირა“.

²⁹ როთი თარგმნის როგორც „გატეხილ (ნამგლის) პირს“ (Roth, 1997:60), რაც შინაარსს გაურკვეველს ხდის. ვფიქრობ, kazirû(m) აქ ვალდებულება უნდა იგულისხმებოდეს, და არა დაზიანებული ნამგლის პირი.

³⁰ awîlu – ადამიანი, პერსონა, თავისუფალი კაცი, ზრდასრული კაცი, მეთემე. სრულუფლებიანი, მესაკუთრე; მსხვილი მიწათმფლობელები, რომლებსაც აქვთ საკუთარი მეურნეობა, წარმოების საკუთარი საშუალებები, წარმოადგენენ თემის სრულუფლებიან წევრებს. არიან პრივილეგირებულნი.

³¹ muškēnu (MAŠ.GAG.EN/MAŠ.EN.GAG) – დამოკიდებული, არათავისუფალი, ღარიბი ადამიანი, გლეხი. არამესაკუთრე, არასრულუფლებიანი; ადგილობრივი მცხოვრები, რომელიც იმყოფება მეფის სამსახურში და სარგებლობს სახელმწიფო მიწის ნაკვეთით, რაც გადაეცემა მას სამსახურის პირობით .

³² kurul(l)um – მოსავალი, ვაზის ნასხლავის შეკვრა, ძნის შეკვრა.

13. (A i 41-42, B i 4-7).

(თუკი) კაცს დამოკიდებულის სახლში შუადღისით დაიჭერენ – 10 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს; (ხოლო) სახლში ღამით დაჭერილი – უნდა მოკვდეს, არ უნდა იცოცხლოს.

14. (B i 8-9).

მრეცხავის³³ დაქირავება: 5 შიკლი ვერცხლის (ღირებულების) ერთი სამოსი – 1 შიკლი(ა) მისი დაქირავება; 10 შიკლი ვერცხლის (ღირებულების) ერთი სამოსი – 2 შიკლი(ა) მისი დაქირავება.

15. (B i 10-11).

ვაჭარმა³⁴ ან დიასახლისმა³⁵ არ უნდა მიიღოს მონა კაცის³⁶ ან მონა ქალის³⁷ ხელიდან ვერცხლი, მარცვლეული, მატყლი, ზეთი, (და) სხვა მრავალი (რამ).

16. (A ii 1, B i 12).

თავისუფალი წრის წევრი კაცი,³⁸ რომელსაც (ჯერ) არ მიუღია (თავისი სამკვიდრო) წილი ან მონა კაცი, წინასწარ სესხს ვერ აიღებს³⁹.

17. (A ii 2-3, B i 13-15).

თუკი თავისუფალი წრის წევრი კაცი (პატარძლის) გამოსასყიდს⁴⁰ სიმამრის⁴¹ სახლში მიიტანს, (შემდეგ) ორიდან ერთი (საქმრო ან პატარძალი) გარდაიცვლება⁴², ვერცხლი დაუბრუნდება (თავდაპირველ) მფლობელს.

18. (A ii 4-5, B i 16-18).

თუკი (თავისუფალი წრის წევრი კაცი ან ქალი) დაქორწინდება და მის სახლში შევა, (შემდეგ) ან საქმრო⁴³ ან პატარძალი⁴⁴ გარდაიცვლება, ის⁴⁵ არ წაიღებს (ყველაფერს) რამდენიც მოიტანა, (არამედ მხოლოდ) ზედმეტს⁴⁶ აიღებს.

18A. (A ii 6-7, B i 19-20).

³³ aslaku – მრეცხავი, მთელავი.

³⁴ tamkāru (tamkāru; tamkārū; DAM.GĀR) – ვაჭარი.

³⁵ sābītu – დიასახლისი; (ქალი) მემამულე, მასპინძელი (Schramm, 2010:91); სასტუმროს მეპატრონე; სამიკიტნოს უფროსი, მიკიტანი; მელუდე; sābū – მამასახლისი; (კაცი) მემამულე, მასპინძელი; სასტუმროს მეპატრონე; სამიკიტნოს უფროსი, მიკიტანი; მელუდე.

³⁶ wardu (L^UĪR) – მონა კაცი, მსახური, ყმა.

³⁷ amtu (GEMÉ, SAG.GEMÉ) – მონა ქალი, მხევალი.

³⁸ mār awīli – თავისუფალი წრის წევრი კაცი; mārat awīli – თავისუფალი წრის წევრი ქალი.

³⁹ = ანუ ავანსი არ ექნება.

⁴⁰ terḫatu(m), tirḫatu(m) – მზითვეი, პატარძლის გადასახადი.

⁴¹ emu – მამამთილი, სიმამრი.

⁴² šīmtu (šīmat/šīmti; šīmātu) – ბედი, რაც დადგენილია, განსაზღვრულია (ღვთაებათა) მიერ; ana šīmti alāku – მის ბედზე წასვლა, ანუ სიკვდილი (ლიტ.: ბედთან შეხვედრა).

⁴³ aḫizānu – ის, რომელიც (ქალს) თხოულობს.

⁴⁴ kallatu – პატარძალი, სარძლო.

⁴⁵ სიმამრი/მამამთილი.

⁴⁶ watar – გადაჭარბებული, ზედმეტი.

1 შიკლ (ვერცხლზე) წილი⁴⁷ ემატება: 1/6⁴⁸ (შიკლი) და 6 მარცვალი (= 20%); 1 გურ (მარცვალზე) წილი ემატება 1 ფან 4 სუთ (= 33%)⁴⁹.

19. (A ii 8-9, B i 21-22).

კაცი, რომელიც სესხს გასცემს, ადგილზე⁵⁰ ამოიღებს.

20. (A ii 10-13).

თუკი კაცი (სესხად გასცემს) მარცვლეულს ... და შემდეგ (მსესხებელი) მარცვლეულს ვერცხლად აქცევს, (შემდეგ) მოსავლის აღებისას მან უნდა მიიღოს მარცვლეული და (დადგენილი) წილი⁵¹ – 1 გურ (მარცვალზე) 1 ფან 4 სუთი.⁵²

21. (A ii 13-15).

თუკი კაცი ვერცხლს (სესხად გასცემს) [...], მან უნდა მიიღოს ვერცხლი და (დადგენილი) წილი⁵³ – 1 შიკლ (ვერცხლზე) 1/6 (შიკლი) და 6 მარცვალი.

22. (A ii 15-18).

თუკი კაცი სხვა კაცისგან არაფერს ითხოვს⁵⁴, მაგრამ კაცი მაინც იღებს გირავნობით ბატონის მონა ქალს, მაშინ მონა ქალის ბატონმა უნდა დაიფიცოს ღვთაებაზე: „არაფერი გითხოვია“; მან (კაცმა მონა ქალის ბატონს) მონა ქალის (ღირებულების) ვერცხლი უნდა მიუწონოს.

23. (A ii 19-21).

თუკი კაცი სხვა კაცისგან არაფერს ითხოვს, მაგრამ ის მაინც იღებს გირავნობით კაცის მონა ქალს, (შემდეგ) დააკავებს მძევლად (თავის) სახლში და გახდება მისი სიკვდილის მიზეზი,⁵⁵ (მაშინ მან) მონა ქალის პატრონს ორი მონა ქალი უნდა მისცეს.

24. (A ii 23-25).

თუკი ის მისგან არაფერს ითხოვს, მაგრამ ის მაინც იღებს გირავნობით დამოკიდებულის ცოლს ან დამოკიდებულის შვილს, (შემდეგ) დააკავებს მძევლად (თავის) სახლში და გახდება მისი სიკვდილის მიზეზი, ეს არის სისხლის სამართლის საქმე – მოგირავნე უნდა მოკვდეს.

25. (A ii 26-28).

თუკი კაცი მივა (პატარძლის) სათხოვნელად სიმამრის სახლში, მაგრამ სიმამრი შეურაცხყოფს(?) და თავის ქალიშვილს სხვას მიათხოვებს, ქალიშვილის მამა მის მიერ მიღებულ მზითევს⁵⁶ ორმაგად დააბრუნებს.

26. (A ii 29-31).

⁴⁷ šibtu II (MÁŠ) – პროცენტი, წილი.

⁴⁸ igi-6-ġál – 1/6

⁴⁹ 300 სილაზე (მარცვლეულის) პროცენტი ერიცხება 100 სილა.

⁵⁰ maškanu – ადგილი, დასახლება.

⁵¹ დადგენილი განაკვეთი 33%

⁵² ანუ 100 სილა 300 სილაზე.

⁵³ დადგენილი განაკვეთი 20%

⁵⁴ išn – მოთხოვნა; ქონა, ყოლა.

⁵⁵ ანუ სიკვდილამდე მიიყვანს.

⁵⁶ terḫatu – მზითევი.

თუკი კაცს მოაქვს მზითევი თავისუფალი წრის წევრის ქალიშვილისთვის, მაგრამ მას სხვა (ადამიანი) მოიტაცებს მამისა და დედის თანხმობის გარეშე და ნამუსს ახდის, (მაშინ) ეს არის სისხლის სამართლის საქმე და ის უნდა მოკვდეს.

27. (A ii 31-34).

თუკი კაცი ცოლად მოიყვანს თავისუფალი წრის წევრის ქალიშვილს მამისა და დედის უკითხავად და თან მამასთან და დედასთან შეთანხმებას და კონტრაქტს⁵⁷ არ გააფორმებს, თუნდაც ერთი წელი იცხოვროს მის სახლში – ის არაა (მისი) ცოლი.

28. (A ii 34-37. B ii 1-2).

თუკი [კაცი დროულად] დადებს საქორწინო ხელშეკრულებას და კონტრაქტს მამასთან და დედასთან და (ქალს) ცოლად მოიყვანს, (მაშინ) ის (მისი) ცოლია. იმ დღეს, როცა მას (ცოლს) სხვა კაცის კალთაში⁵⁸ დაიჭერენ⁵⁹ (ანუ სხვა კაცთან წაასწრებენ), ის მოკვდება, არ იცოცხლებს.

29. (A ii 38-45. B ii 3-7).

თუკი კაცი [დაიჭირეს!] სამხედრო კამპანიისა⁶⁰ და უკან დახევის დროს, ან ის ყაჩაღებმა შეიპყრეს⁶¹ და იცხოვრებს სხვა ქვეყანაში [...] დღე და (ამასობაში) სხვამ (კაცმა) წაართვა ცოლი და (მან მას) უშვა ვაჟი, (შემდეგ) როცა დაბრუნდება (სამშობლოში), ცოლს დაიბრუნებს.

30. (A ii 45-?. B ii 8-10).

თუკი კაცს (თავისი) ქალაქი და ბატონი სძულს და გაიქცევა, ხოლო (ამასობაში) სხვამ მოიყვანა (მისი) ცოლი, როცა დაბრუნდება (თავის) ცოლს ვეღარ დაიჩემებს.⁶²

31. (B ii 11-12).

თუკი კაცი სხვა კაცის მონა ქალს ნამუსს ახდის. მან $1/3$ ⁶³ მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს, მონა ქალი კი ბატონის საკუთრებაა.

32. (A iii 3-5-?. B ii 13-15).

თუკი კაცი აძლევს თავის შვილს (მომვლელს) ძუძუს საწოვებლად და აღსაზრდელად, მაგრამ არ აძლევს საჭმელს, ზეთს, ტანსაცმელს 3 წლის მანძილზე, (მაშინ) მან უნდა მიუწონოს 10 შიკლი ვერცხლი შვილის აღზრდის ხარჯი და (მხოლოდ ამის შემდეგ) დაიბრუნებს შვილს.

33. (A iii 6-9, B ii 16-18).

თუკი მონა ქალი თაღლითურად მოიქცევა და შვილს თავისუფალი წრის წევრის ქალს მისცემს, როცა ის გაიზრდება, მისი ბატონი იპოვის, შეიპყრობს და წაიყვანს.

⁵⁷ ანუ წერილობით ხელშეკრულებას.

⁵⁸ sūnu (=ÚR) – მუხლი, კალთა.

⁵⁹ ṣabātu(m) – დაჭერა, დაკავება, აღება; ხელში ჩაგდება, წაასწრება, დატყვევება.

⁶⁰ = ლაშქრობისას.

⁶¹ ანუ ტყვედ ჩავარდება.

⁶² ragāmu(m) – პრეტენზია; 1. რაიმეს (იდეის, ქონების და სხვ.) დაჩემება. 2. მოთხოვნა, საჩივარი, სარჩელი. ანუ მეთემე ასეთ სიტუაციაში ცოლს ვეღარ დაიბრუნებს.

⁶³ $1/3$ მანა (მინა) = 20 შიკლი. ესაა მონის ან მონა ქალის საშუალო ღირებულება ბაბილონის I დინასტიის ეპოქაში.

34. (A iii 9-12, B ii 19-21).

თუკი სასახლის მონა ქალმა თავისი ვაჟიშვილი ან ქალიშვილი დამოკიდებულს მისცა აღსაზრდელად, (მაშინ) ვაჟს (ან) ქალიშვილს, რომელიც მან მისცა, სასახლე წაიყვანს.

35. (A iii 12-13. B ii 22-23).

და ისიც, ვინც აიყვანა (აღზარდა) სასახლის მონა ქალის შვილი, უნდა აუნაზღაუროს სასახლეს მისი⁶⁴ შესაბამისი ღირებულება.

36. (A iii 14-17. B ii 24-28).

თუკი კაცი თავის ქონებას ახლობელს⁶⁵ გადასცემს შესანახად, და სახლი არ გათხრილა⁶⁶, ზღურბლი არ გადაჭრილა, ფანჯარა არ გატეხილა და (მიუხედავად ამისა) ქონება რაც მისცა მას (შესანახად) დაიკარგა – (მაშინ) ის (ახლობელი ადამიანი) აანაზღაურებს (დაკარგულ) ქონებას.

37. (A iii 18-23, B iii 1-6).

თუკი კაცის სახლი გამარცხეს, დაცულ ქონებასთან ერთად, რაც (მან მას) მისცა, სახლის პატრონის ნივთებიც გაქრა, (მაშინ) სახლის პატრონმა ღვთაება თიშფაქის⁶⁷ კარიბჭესთან ღვთაებრივი ფიცი უნდა წარმოთქვას: „ჩემი ქონებაც გაქრა შენს ქონებასთან ერთად; მე არ ჩამიდენია⁶⁸ თაღლითობა ან ბოროტმოქმედება⁶⁹“ – (ასე) უნდა უთხრას ყველაფერი და არ ექნება⁷⁰ (მოთხოვნა).

38. (A iii 23-25, B 7-9).

თუკი ამხანაგობაში⁷¹ ვინმეს სურს გაყიდოს თავისი წილი ვერცხლად, ხოლო მის ძმას (მოკავშირეს) სურს ყიდვა, (მაშინ) მან უნდა გადაიხადოს საშუალო⁷² (ფასი).

39. (A iii 25-27, B iii 10-11).

თუკი კაცი გაღარიბდა და გაყიდა თავისი სახლი ვერცხლად, (მაშინ) როცა მყიდველი (გაყიდის), სახლის (ყოფილ) მფლობელს შეუძლია (ის) გამოისყიდოს.

40. (A iii 28-29, B iii 12-13).

თუკი კაცი მონა კაცს ან მონა ქალს, ხარს ან სხვა რაიმეს იყიდის, მაგრამ გამყიდველის ვინაობას ვერ ადგენს, ის არის ქურდი.

41. (A iii 30-31, B iii 14-16).

თუკი უცხოელს⁷³, ახლობელს ან მცოდნეს⁷⁴ სურს თავისი ლუდის გაყიდვა. დიასახლისი ლუდს არსებული ფასით მიჰყიდის.

⁶⁴ მონის შვილის.

⁶⁵ naptaru(m) – ნაცნობი, ახლობელი, სტუმარი, მეგობარი.

⁶⁶ palāšu (a-u) – გახვრეტა; ნახვრეტი, სორო; ხვრელი, ხვრელის გაკეთება.

⁶⁷ ო^dTišpak – ქალაქ ეშნუნას მფარველი ღვთაება იყო, რომელმაც შეცვალა ღვთაება ნინაზუ.

⁶⁸ epēšu (īpuš) – გაკეთება, ქმნა.

⁶⁹ sarāru – მოტყუება. sarru, sartu, surtu – ცბიერი, ცრუ, მატყუარა, მცდარი, არასწორი, ტყუილი; ცრუპენტელა, დამნაშავე.

⁷⁰ išū – ქონა, ყოლა; საქმეში მოთხოვნის ქონა.

⁷¹ atḫūtu(m) – ამხანაგობა, პარტნიორობა.

⁷² qabla – შუა(ში), აქ: საშუალო.

⁷³ ubāru(m) – უცხოელი.

42. (A iii 32-34, B iii 17-20).

თუკი კაცი სხვა კაცს ცხვირზე უკბენს და მოაცლის, (მან დაზარალებულს) 1 მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს; თვალი(სთვის) – 1 მინა; კბილი(სთვის) – ½ მინა; ყური(სთვის) – ½ მინა; ლოყაზე დარტყმისთვის⁷⁵ 10 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.

43. (A iii 32-34, B iii 17-20).

თუკი კაცი სხვა კაცს თითს მოაჭრის, (მან დაზარალებულს) 1/3 მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

44. (A iii 36-37, B iii 23- 24, C 1-2).

თუკი კაცი კაცს ქუჩაში დაარტყამს(?) და ხელს მოტეხს, (მან დაზარალებულს) ½ მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

45. (A iii 38, B iii 24, C 3-4).

თუკი (კაცი კაცს) ფეხს მოტეხს, (მან დაზარალებულს) ½ მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

46. (A iii 39-40, C 5-6).

თუკი კაცი კაცს დაარტყამს და ლავიწს⁷⁶ მოტეხს, (მან დაზარალებულს) 1/3 მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

47. (A iii 40-41. C 7-8).

თუკი კაცი კაცს მოკლავს⁷⁷ კამათში, 10 შიკლი ვერცხლი უნდა მიუწონოს.

47A. (C 9-11).

თუკი კაცი ჩხუბში⁷⁸ თავისუფალი წრის წევრ კაცს მოკლავს, (მან დაზარალებულს) 2/3 მინა ვერცხლი უნდა მიუწონოს.

48. (A iii 40-41. C 7-8).

და საქმეს, რომელიც გულისხმობს ვერცხლის ჯარიმას 1/3 მინადან 1 მინამდე სასამართლო ადგენს, სისხლის სამართლის საქმეს⁷⁹ კი – მეფე.

49. (B iv 4-5).

თუკი კაცს მოპარულ⁸⁰ მონა კაცთან ან მოპარულ მონა ქალთან (ერთად) დაიჭერენ, (მამინ) მონა კაცისთვის – მონა კაცი, მონა ქალისთვის – მონა ქალი უნდა მიიყვანოს.

50. (A iv 1-7. B iv 6-10).

თუკი ოლქის მმართველი,⁸¹ არხის⁸² ზედამხედველი,⁸³ ან რომელიმე ადმინისტრაციული თანამდებობის პირი⁸⁴ დაიჭერს გაქცეულ მონა კაცს, გაქცეულ მონა

⁷⁴ mūdū – მცოდნე, სწავლული.

⁷⁵ ანუ სილის გაწვნისთვის.

⁷⁶ kerru(m) – კისრის არე, ლავიწის ძვალი.

⁷⁷ šigištum – მოკვლა, ხოცვა.

⁷⁸ risbatu(m) – ჩხუბი, კინკლაობა.

⁷⁹ სიტყვ. სიცოცხლის საქმე.

⁸⁰ šarāqu (i/i) – მოპარვა.

⁸¹ šakkanakku – სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის წარმომადგენელი ქვეყნის ნაწილში, ოლქის/პროვინციის გამგებელი/მმართველი, მთავარი, სამხედრო გუბერნატორი, გენერალი.

⁸² nāru – მდინარე, არხი, სრუტე.

ქალს, გაქცეულ ხარს ან გაქცეულ ვირს, რომელიც ეკუთვნის სასახლეს ან დამოკიდებულს, და არ მიიყვანს ქალაქ ემუნში, არამედ დააკავებს თავის სახლში და ერთ თვეზე მეტი გავა, სასახლე მას ქურდობის ბრალდებას წაუყენებს.

51. (A iv 7-9, B iv 11-13).

ქალაქ ემუნში მონა კაცი ან მონა ქალი, (ვინც) სახვევებს,⁸⁵ ხუნდებს,⁸⁶ თავსაბურავს⁸⁷ ატარებს, ქალაქ ემუნს კარიბჭიდან ბატონის ნებართვის გარეშე არ უნდა გავიდეს.

52. (A iv 10-13, B iv 14-16).

მონა კაცს ან მონა ქალს, (ვინც) სახვევებს, ხუნდებს, თავსაბურავს ატარებს, შევა შიკრიკის⁸⁸ მიერ დაცულ ქალაქ ემუნს მთავარ კარიბჭეში, ბატონი იცავს.

53. (A iv 13-15, B iv 17-19).

თუკი ხარი მეორე ხარს ურჩოლებს⁸⁹ და ამით მოკვდება, ხარის ორივე პატრონმა უნდა გაიყოს ცოცხალი ხარისა და მკვდარი ხარის ლემის ღირებულება.

54. (A iv 15-18, B iv 20).

თუკი ხარი ირჩოლება⁹⁰ და (ამის შესახებ) უბანი შეატყობინებს მის პატრონს, (მაგრამ ის) ვერ დაიმორჩილებს თავის ხარს, კაცს ურჩოლებს და მოკლავს, (მაშინ) ხარის პატრონმა უნდა მიუწონოს 2/3 მინა ვერცხლი.

55. (A iv 18-19).

თუკი ის (ხარი) ურჩოლებს მონა კაცს და ამით მოკვდება, (მაშინ) მან (ხარის პატრონმა) უნდა მიუწონოს 15 შიკლი ვერცხლი.

56. (A iv 20-23).

თუკი ძალლი ავია და (ამის შესახებ) უბანი შეატყობინებს მის პატრონს, (მაგრამ ის) ვერ დაიმორჩილებს თავის ძალლს, კაცს უკბენს და მოკლავს, (მაშინ) ძალლის პატრონმა უნდა მიუწონოს 2/3 მინა ვერცხლი.

57. (A iv 23-24).

თუკი ის (ძალლი) უკბენს მონა კაცს და ამით მოკვდება, (მაშინ) მან (ძალლის პატრონმა) უნდა მიუწონოს 15 შიკლი ვერცხლი.

58. (A iv 25-28).

თუკი კედელი ინგრევა და (ამის შესახებ) უბანი შეატყობინებს კედლის მფლობელს, მაგრამ ის არ გაამაგრებს თავის კედელს, ჩამოიშლება და ამის გამო თავისუფალი წრის

⁸³ šāpiru – ზედამხედველი; მბრძანებელი, განკარგულების გამცემი, მმართველი, ხელმძღვანელი.

⁸⁴ belu – ბატონი, პატრონი; bēl tērtu(m) – დელეგატი, ოფიციალური პირი, ადმინისტრაციული პოსტის/თანამდებობის პირი.

⁸⁵ kannu(m) – სახვევი.

⁸⁶ maškanu(m) – ხუნდი, ბორკილი, ჯაჭვი.

⁸⁷ abbutu(m) – თავსაბურავი (მსახურის, მონის).

⁸⁸ mār šipri – შიკრიკი, მაცნე, კურიერი.

⁸⁹ nakāpu(m) – დაჯახება, შეჯახება; შინაური ცხოველის მიერ რქენა, რჩოლვა, თავით/შუბლით შეჯახება/შეტაკება. nakkaptu – შუბლი; nakkāpū – დაჯახებული.

⁹⁰ = მარქენალია.

წვერი კაცი მოკვდება – ეს სისხლის სამართლის საქმეა და (გადაწყვეტილება მიიღება) სამეფო ბრძანებულებით.⁹¹

59. (A iv 29-33).

თუკი კაცს შეეძინა ვაჟიშვილები, მაგრამ გამორდება ცოლს და შემდეგ სხვაზე დაქორწინდება, (მაშინ) მას უნდა ჩამოერთვას სახლი და ყველაფერი რაც აქვს და ამის შემდეგ ის უნდა წავიდეს ვინც [...] სახლი [...]⁹²

60. (A iv 33-37).

თუკი მცველი⁹³ დაუდევრად იცავს სახლს, მძარცველი⁹⁴ სახლს გატეხს⁹⁵, მოკლავს გატეხილი სახლის მცველს [...], (მძარცველს დანაშაულის ადგილზე) გატეხილი სახლის წინ საფლავის გარეშე დამარხავენ.⁹⁶

⁹¹ *šimdatu, šimdu, šimittu, šindu* – სამეფო ბრძანებულება; დადგენილება, განსაკუთრებული სამეფო ინსტრუქცია (აგრეთვე *šimdat šarri*).

⁹² აქ ტექსტი ფრაგმენტულია და შინაარსის გაგება/ დაზუსტება რთულია.

⁹³ *maššaru* – მცველი.

⁹⁴ *pallišu(m)* – მძარცველი, სახლის დამყაჩაღებელი.

⁹⁵ *palasu(m)* – „გატეხვა“ კედელი, სახლის; გახვრეტა, გაზურთღვა, ხვრელის გაყვანა სახლში.

⁹⁶ *qebru(m)* – დაკრძალული, დასაფლავებული, დამარხული.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

- დამბაშიძე, მ., (2017). აქადური ენის სასწავლო ლექსიკონი. ასირიოლოგია, ბიბლიკა და კავკასიოლოგია საზოგადოების წიგნები, 12. აკადემიური წიგნი.
- ტატიშვილი, ი., (2017). ქართულ-ხეთური ლექსიკონი. „ლოგოსი“. თბილისი.
- ტატიშვილი, ი., (2013). ხეთურ-ქართული ლექსიკონი. ნაკვეთი 9: შუმეროგრამები. „ლოგოსი“. თბილისი.
- Липин, Л. А., (1954). Древнейшие законы Месопотамии. Палестинский сборник, выпуск 1 (63).
- Black, J., George, ., Postgate, N., (2000). A Concise Dictionary of Akkadian. 2nd (corrected) printing. Harrassowitz Verlag, Wiesbaden
- Eichler, B.L. (1987). Literary Structure in the Laws of Eshnunna, in Language, Literature and History.
- Finkelstein, J.J. (1970). On Some Recent Studies in Cuneiform Law, JAOS (Journal of the American Oriental Society) 90.
- Foxvog, D.A. (2010). Elementary Sumerian Glossary. Guerneville, California USA.
- Goetze A., (1951-1952). The Laws of Eshnunna. The Annual of the American Schools of Oriental Research Vol. 31. The American Society of Overseas Research.
- Halloran, J.A. (1999). Sumerian Lexicon. Version 3.0. Last revised August 11, 1999 Home page for the Sumerian lexicon: <http://www.sumerian.org>
- Landsberger, B. (1968). Neue Lesungen und Deutungen im Gesetzbuch von Eshnunna), " Symbo/ae Juridicae et Historicae Martino David Dedicatae, Leiden, Brill, Vol. 2.
- Rosen, B., L., (1977). Some Notes on Eshnunna Laws 20 and 21 and a Legal Reform in the Laws of Hammurapi. RA 71.
- Roth, M.T., (1997). Law Collections from Mesopotamia and Asia Minor. V 6 (2).
- Schramm, W., (2010). Akkadische Logogramme. Göttinger Beiträge zum Alten Orient, Band 5. Universitätsverlag Göttingen.
- Speiser, E.A. (1963). Cuneiform Law and the History of Civilization, 107 Proceedings of the American Philosophical Society 536 (1963)
- Szlechter, E., (1954). Les lois d'Eshnunna, Paris.
- Yaron R., (1988). The laws of Eshnunna. Second Revised Edition. Jerusalem-leiden.
- Yaron, R. (1969). The Laws of Eshnunna. Jerusalem: Magnes Press.

RIA - Reallexikon der Assyriologie und Vorderasiatischen Archäologie. (1987-1990). Masse und Gewichte. Band 7. Walter de Gruyter . Berlin . New York. 457-529.

<http://psd.museum.upenn.edu/nepsd-frame.html>

REFERENCES

- ghambashidze, m., (2017). akaduri enis sasts'avlo leksik'oni. asiriologta, bibleist'ta da k'avk'asiologta sazogadoebis ts'ignebi, 12. ak'ademiuri ts'igni. [Gambashidze, M., (2017). Study dictionary of the Akkadian language. Books of the Society of Assyriologists, Biblists and Caucasologists, 12. Academic book.]
- t'at'ishvili, i., (2017). kartul-kheturi leksik'oni. „logosi“. tbilisi. [Tatishvili, I., (2017). Georgian-Hittite dictionary. "Logos". Tbilisi.]
- t'at'ishvili, i., (2013). khetur-kartuli leksik'oni. nak'veti 9: shumerogramebi. „logosi“. tbilisi. [Tatishvili, I., (2013). Hittite-Georgian dictionary. Plot 9: Sumerograms. "Logos". Tbilisi.]
- Lipin, L. A., (1954). Drevnejshie zakony Mesopotamii. Palestinskij sbornik, vypusk 1 (63). [Lipin, L. A., (1954). The most ancient laws of Mesopotamia. Palestine Collection, Issue 1 (63).]
- Black, J., George, ., Postgate, N., (2000). A Concise Dictionary of Akkadian. 2nd (corrected) printing. Harrassowitz Verlag, Wiesbaden
- Eichler, B.L. (1987). Literary Structure in the Laws of Eshnunna, in Language, Literature and History.
- Finkelstein, J.J. (1970). On Some Recent Studies in Cuneiform Law, JAOS (Journal of the American Oriental Society) 90.
- Foxvog, D.A. (2010). Elementary Sumerian Glossary. Guerneville, California USA.
- Goetze A., (1951-1952). The Laws of Eshnunna. The Annual of the American Schools of Oriental Research Vol. 31. The American Society of Overseas Research.
- Halloran, J.A. (1999). Sumerian Lexicon. Version 3.0. Last revised August 11, 1999 Home page for the Sumerian lexicon: <http://www.sumerian.org>
- Landsberger, B. (1968). Neue Lesungen und Deutungen im Gesetzbuch von Eshnunna), " Symbo/ae Juridicae et Historicae Martino David Dedicatae, Leiden, Brill, Vol. 2.
- Rosen, B., L., (1977). Some Notes on Eshnunna Laws 20 and 21 and a Legal Reform in the Laws of Hammurapi. RA 71.
- Roth, M.T., (1997). Law Collections from Mesopotamia and Asia Minor. V 6 (2).

Schramm, W., (2010). Akkadische Logogramme. Göttinger Beiträge zum Alten Orient, Band 5. Universitätsverlag Göttingen.

Speiser, E.A. (1963). Cuneiform Law and the History of Civilization, 107 Proceedings of the American Philosophical Society 536 (1963)

Szlechter, E., (1954). Les lois d'Eshnunna, Paris.

Yaron R., (1988). The laws of Eshnunna. Second Revised Edition. Jerusalem-leiden.

Yaron, R. (1969). The Laws of Eshnunna. Jerusalem: Magnes Press.

RIA - Reallexikon der Assyriologie und Vorderasiatischen Archäologie. (1987-1990). Masse und Gewichte. Band 7. Walter de Gruyter . Berlin . New York. 457-529.

<http://psd.museum.upenn.edu/nepsd-frame.html>